# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 196

20|9 წ. "17" 09

ქ.თბილისი

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 01 სექტემბრის №59 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. ცვლილება განხორციელდეს სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 01 სექტემბრის №59 გადაწყვეტილებაში. კერძოდ,

ა) გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისათვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ“

ბ) დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი

## პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გემბანის რიგითი მეზღვაური | მესამე | გემბანის რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111051 | 60 | ქართული | 22 | ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53 |
| 2 | სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური | მესამე | სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 111052 | 60 | ქართული | 21 | ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53 |

## საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური/დონე | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი (1) | მესამე საფეხური | კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040679 | 79 | 94 | ქართული | 7 | ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53 |
| 2 | ამწის ოპერირება (1) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში 1041 | 46 | 61 | ქართული | 20 | ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53 |
| 3 | შედუღება (1) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 0715 | 38 | 53 | ქართული | 45 | ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | ამწის ოპერირება (1) | მეოთხე დონე | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში 1041 | 76 | 106 | ქართული | 10 | ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53 |
| 5 | შედუღება (1) | მეოთხე დონე | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 0715 | 79 | 109 | ქართული | 22 | ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53 |
| 6 | სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერირება (1) | მეოთხე დონე | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში 0413 | 69 | 99 | ქართული | 10 | ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53 |
| 7 | პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი (1) | მეხუთე დონე | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში 0413 | 51 | 81 | ქართული | 10 | ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53 |
| 8 | თევზსაჭერი გემის ნავიგაცია (1) | მეხუთე საფეხური / დონე | ა) ასოცირებული ხარისხი თევზსაჭერი გემის ნავიგაციაში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) 1041 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია თევზსაჭერი გემის ნავიგაციაში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი ) 040780 | 88 | 118 | ქართული | 60 | ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი №53 |

*(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის* (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) *საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას;*

*(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის* (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) *საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.“*

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №16 სხდომის ოქმის მეთოთხმეტე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს სხდომის დღიდან.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე